ჟურნალის რედკოლეგია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ედიბერიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მძიმე დანაკლისი განიცადა. 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ევროპისა და მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორი **ალექსანდრე გიორგის ძე ედიბერიძე**.

ალექსანდრე ედიბერიძე დაიბადა 1937 წელს თბილისში, ინტელიგენტების ოჯახში. მამამ - გიორგი ედიბერიძემ წარჩინებით დაამთავრა გერმანიის ფრაიბერგის სამთო აკადემია. 1933 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში, სადაც მან გააგრძელა სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა სამთო-გადამამუშავებელი ქარხნების აშენება-მოდერნიზება ჭიათურასა და საჩხერეში, რომელთა უცვლელი ხელმძღვანელიც იყო 1937 წლამდე. 1937 წელს იგი რეპრესირებულ იქნა. დედა - ემა ედიბერიძე იყო ცნობილი ავანგარდისტი მხატვარი.

1954 წელს ალექსანდრე ედიბერიძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-9 საშუალო სკოლა. იმავე წელს იგი გახდა კონსერვატორიის სტუდენტი, რომელიც აგრეთვე წარმატებით დაასრულა. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მუსიკალურ სკოლას. იგი იმ პერიოდში იყო საქართველოში ახალფეხადგმული ჯაზური მუსიკის პოპულარიზატორი და შემსრულებელი. პარალელურად სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ამავე ფაკულტეტის ასპირანტურაში. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ამ ფაკულტეტზე განაგრძობდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას დოცენტის რანგში. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე წარმატებით ფუნქციონირებდა სტუდენტთა სამეცნიერო ბიურო, რომლის მონაწილე სტუდენტებიც ამჟამად მოღვაწეობენ საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურ და პრაქტიკულ სფეროებში.

1984 წელს ალექსანდრე ედიბერიძის ხელმძღვანელობით სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე გაიხსნა „სამთო საქმესა და გეოლოგიაში პროექტირების ავტომატიზაციის" კათედრა, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა იგი 2000 წლამდე. 1986 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია კიევის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. 1987 წლიდან არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის თანამდებობაზე. 2000 წლიდან იყო ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის „ბიზნესში საინფორმაციო ტექნოლოგიების" დეპარტამენტის ხელმძღვანელი. იგი წარმატებით თანამშრომლობდა ევროპისა და მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან, ახორციელებდა, მრავალ საერთაშორისო პროექტს და ამ პროექტის ფარგლებში ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის თანამშრომლები, ბაკალავრები, მაგისტრები და დოქტორანტები იგზავნებოდნენ ევროპის (გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, პორტუგალიის) სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ალექსანდრე ედიბერიძე ფლობდა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ფინურ, რუსულ ენებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა არაერთი საერთაშორისო პროექტი.

შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, საუკეთესო მოქალაქის, ჭეშმარიტი ინტელიგენტის ალექსანდრე გიორგის ძე ედიბერიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების, მოწაფეების, უცხოელი კოლეგების და ახლობლების გულში.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

1

(დამატება)

SOCIAL ECONOMICS

XXI CENTURY'S ACTUAL PROBLEMS

СОЦИАЛЬНАЯ ЭКОНОМИКА

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ XXI ВЕКА